



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

06/03/2015

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 154

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსირებადმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ, თანახმად 1, 2 და 3 დანართებისა.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება/განახლება.


3. დამტკიცდეს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით საბიუჯეტო პროცესების კალენდარი, თანახმად დანართი 4-სა.

4. პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს ორგანიზება გაუწიოს საჯარო განხილვებს დაინტერესებულ პირებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
2015 წლის 6 მარტის №154 ბრძანებისა

სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შეფასება

(ლარებში)

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება	დაფინანსება				მიღწეული/მოსალოდნელი შედეგები*
	2014 წელი (საკასო)		2015 წელი (გეგმა)		
	ადგილობრივი ბიუჯეტი	სხვა წყაროები	ადგილობრივი ბიუჯეტი	სხვა წყაროები	
I. პრიორიტეტი					
მ.შ. პროგრამები>ქვეპროგრამები>ღონისძიებები					
1.					
2.					
n.					
II. პრიორიტეტი					
მ.შ. პროგრამები>ქვეპროგრამები>ღონისძიებები					
1.					
2.					
n.					
III. პრიორიტეტი					
მ.შ. პროგრამები>ქვეპროგრამები>ღონისძიებები					
1.					
2.					
n.					
სულ					

* შენიშვნა: 2014 წლისათვის უნდა მიეთითოს მიღწეული შედეგები, 2015 წლისათვის უნდა მიეთითოს მოსალოდნელი შედეგები. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია შედეგების აღწერა ცალკეული ღონისძიებების მიხედვით, იგი მოცემული უნდა იქნეს პროგრამის მიხედვით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
2015 წლის 6 მარტის №154 ბრძანებისა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი
პრიორიტეტები (2016-2019 წ.წ.)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა	
პროგრამის დასახელება	
განხორციელების სავარაუდო ვადები	
პროგრამის მიზანი	უკავშირდება პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანს და ამასთან ასახულებს რატომ არის ეს პროგრამა ეფექტიანი პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად
პროგრამის აღწერა	სავარაუდო ქვეპროგრამები, ღონისძიებები, აქტივობები, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	მდგომარეობა, რომელიც დაგეგმილი პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
2015 წლის 6 მარტის №154 ბრძანებისა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესების კალენდარი

თვე	ვადა	პროცესი
მარტი	1 მარტი	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო 1 მარტიდან გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე
	10 მარტი	10 მარტიდან საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ საშუალოვადიანი გეგმის გადახედვას და განახლებას
მაისი	5 მაისი	5 მაისამდე საბიუჯეტო დაწესებულებები ასრულებენ საშუალოვადიანი გეგმების განახლებას
	20 მაისი	20 მაისამდე საბიუჯეტო ორგანიზაციები ახდენენ საშუალოვადიანი გეგმების დაინტერესებულ მხარეებთან განხილვას და განფასებას
	25 მაისი	25 მაისამდე საბიუჯეტო ორგანიზაციები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს წარუდგენენ შერჩეულ პრიორიტეტებს და პროგრამებს
ივნისი	10 ივნისი	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელიც 10 ივნისამდე წარედგინება საკრებულოს
	30 ივნისი	საკრებულო 30 ივნისამდე ამზადებს შენიშვნებს პრიორიტეტების და განსახორციელებელი პროგრამების თაობაზე
ივლისი	25 ივლისი	25 ივლისამდე მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს საკრებულოს შენიშვნების საფუძველზე კორექტირება შეაქვს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში
აგვისტო	1 აგვისტო	1 აგვისტომდე მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური საბიუჯეტო ორგანიზაციებს უზღავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს
სექტემბერი	5 სექტემბერი	5 სექტემბრამდე საბიუჯეტო ორგანიზაციები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს
	15 სექტემბერი	15 სექტემბრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციები დაინტერესებულ მხარეებთან ერთად იხილავენ მომავალი წლის პროგრამებს
	30 სექტემბერი	30 სექტემბრამდე საბიუჯეტო ორგანიზაციები ახდენენ დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების მომავალი წლის პროგრამებში გათვალისწინებას
ოქტომბერი	5 ოქტომბერი	1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე
		2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

თვე	ვადა	პროცესი
ნოემბერი	5 ნოემბერი	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს არა უგვიანეს 5 ნოემბრისა აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 101-ე მუხლის საფუძველზე
	10 ნოემბერი	1. 10 ნოემბრამდე მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს
		2. მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს
	15 ნოემბერი	2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მერი განსახილველად წარუდგენს საკრებულოს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე 3. ბიუჯეტის პროექტთან ერთად საკრებულოს წარედგინება მისი შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე
	20 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე
25 ნოემბერი	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე	
დეკემბერი	10 დეკემბერი	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მერი წარუდგენს საკრებულოს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე
	31 დეკემბერი	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე